ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 18

27 იანვარი
"---" -------- 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 24 დეკემბრის N.º 07/50320 წერილის შესაბამისად,

1. თანხმობა მიეცეს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული (უძრავი ქონება) 2 059კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N71.62.58.019) და 9 935 055 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N71.62.47.494) (მდებარე ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დაბა გუდაურში) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე, მასზე არსებული უფლება-მოვალეობების, მათ შორის სსიპ "გუდაურის განვითარების ფონდსა" (სამართალმემკვიდრე - სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდი) და კომპანია "REZIDOR HOTELS ApS DANMARK"-ს შორის 2012 წლის 3 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი